



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება

გაფართოებული ძიება



მთავარი | სიახლეები | გამოცემები | კანონმდებლობა | ანგარიშები | HRIDC-ს შესახებ | ბმულები | კონტაქტი | [Text Version](#)

საყდრისში გამოსატუტი მოედანი უნებართვოდ აშენდა

29.11.2013



მანონ ბოკუჩავა, ქვემო ქართლი

საყდრისში გამოსატუტი მოედნის აშენებაზე ნებართვა არავის გაუცია, თუმცა მოედანი მაინც ფუნქციონირებს. ამ საკითზე ინფორმაცია გარემოსდამცველა ორგანიზაციებმა გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაცია აგვისტოში მიაწოდეს, თუმცა ამ დრომდე არაფერი შეცვლილა და გამოსატუტი მოედანი ისევ ფუნქციონირებს. 22 ნოემბერს გარემოს დაცვის სამინისტროში საყდრისის საკითხზე გამართულ შეხვედრაზე „მწვანე ალტერნატივა“ სწორედ აღნიშნულ საკითხზე განმარტებებს ითხოვდა

კითხვას, რატომ არ ახდენს სამინისტრო რეაგირებას ნებართვის გარეშე აშენებულ გამოსატუტ მოედანზე - უწყების გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი გაცემით ხდება: „ჩვენ დაუკავშირდით ზედამხედველობის სამსახურს. გვითხრეს, რომ ჩავლენ ადგილზე გაეცნობიან არსებულ სიტუაციას და დააჯარიმებენ კომპანიას. რაც შეეხება ჩვენ დეპარტამენტს, ნამდვილად არაფერი ვიცოდით აღნიშნული მშენებლობის შესახებ“, - აცხადებდა შეხვედრაზე, გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი, თამარ შარაშიძე.

გამოსატუტ მოედანზე ოქროს მოპოვებისთვის ქანების ციანიდებით დამუშავება ხდება. გარემოსდამცველების თქმით, ამ პროცედურამ შესაძლოა საკმაოდ დიდი ზიანი მოუტანოს გარემოს.

„მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ სამინისტროს სამსახურებს შორის საჭირო კომუნიკაცია არ არსებობს. ამის თქმის საფუძველს კი ზედამხედველობის სამსახურში აგვისტოს ბოლოს მიწერილი წერილი აძლევთ. „მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო გუჯარაძე ამბობს, რომ მათ ჯერ კიდევ აგვისტოში გარემოს ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ექსპედიციით შეიტყვეს, რომ RMG-იმ გამოსატუტი მოედნის მშენებლობა დაიწყო: „ ჩვენ აღნიშნულთან დაკავშირებით მივწერეთ სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს. პასუხად მივიღეთ, რომ წერილი გადაეგზავნა ზედამხედველობის სამსახურს. შემდეგ მიემართეთ სექტემბრის შუა რიცხვებში უშუალოდ ზედამხედველობის სამსახურს, გვანტერესებდა შეაჩერეს, თუ არა აღნიშნული მშენებლობა, თუმცა პასუხი ვერ მივიღეთ. გასულ კვირას კი უშუალოდ მინისტრს მივწერეთ და საბოლოოდ ინფორმაციის მიღება მაინც ვერ შევძელით“, - საუბრობს, გუჯარაძე. ის ამბობს, რომ სამინისტროს მეტი ყურადღება მართებდა აღნიშნული საკითხის მიმართ, რადგან მანდის ტექნოლოგიური დამუშავება არის ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი გარემოსთვის.

„მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევს, რომ RMG უნებართვოდ აშენებული ობიექტისთვის უნდა დაჯარიმდეს და მოგვინებით აღნიშნული მოედნის ექსპლუატაციისთვის სამინისტრომ უნდა შეარჩიოს ის ალტერნატიული ფორმა, რომელიც ყველზე ნაკლებად დააზიანებს გარემოს: „ ჩვენთვის ამოსავალი წერტილი ის კი არ უნდა იყოს კომპანიისთვის ეკონომიკურად რა არის მომგებიანი, არამედ სამინისტრომ უნდა იფიქროს იმაზე, რომ გარემოს მაქსიმალურად ნაკლები ზიანი და რისკები შეუქმნას“, - აცხადებს „მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელი დირექტორი.

[«უკან დაბრუნება»](#)



დატოვებთ თქვენი კომენტარი

თქვენი სახელი:

თქვენი კომენტარი:

ქართულად

დამცავი კოდი:

სხვა სიახლეები

გურიამში რამდენიმე საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვენ



სახალხო დამცველი ქუთაისში მიუსაფართა თავშესაფარში შექმნილ ვითარებას ეხმაურება



ქსნის #15 დაწესებულების პატიმარი დახმარებას ითხოვს

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსი ხელახლა ჩატარდება

გორის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი 18 650 000 ლარით განისაზღვრა

[არქივი](#)



ბლოგი

მშვიერი კომისიის წევრები და გაზრახებული თავმჯდომარეები ბათუმში



არჩვენებს 2003 წლიდან ვაკვირდები. არც ერთი არჩევნები არ გამოითვლება, რასაც ვერ ვიტყვით ჩემი საარჩევნო ხმის უფლების გამოყენებაზე - ყველა არჩევნებზე, იმის გამო რომ [ვრცლად...](#)

ბეჭდები ნაკვეთურის გარეშე და ორსახელიანი ამომრჩეველი გურიამში

პირველად დამკვირვებლის სტატუსით

[არქივი](#)

გამოკითხვა

თქვენი აზრით, როგორ ჩატარდა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები?

- დარღვევების გარეშე
- უმნიშვნელო დარღვევებით
- მასობრივი დარღვევებით
- გაყალბდა
- მიჭირს პასუხის გაცემა

წინ